

ტროპიკული ღამეები

მარიამ ელიზბარაშვილი

ელ-ფოსტა: mariam.elizbarashvili@tsu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი

გლობალური დათბობის ფონზე აღინიშნება კლიმატის ექსტრემალური მოვლენების (გვალვები, თავსმა ნალექები, ძლიერი ქარი, ყინვები და სხვა) სიხშირის, ხანგრძლივობის და ინტენსივობის გაზრდა, რაც უდავოა სერიოზულ გავლენას ახდენს გარემოსა და საზოგადოებაზე. ამიტომ კლიმატის ექსტრემალური მოვლენების კვლევას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება მსოფლიოში. სწორედ ამიტომაც კლიმატის ცვლილების სამთავრობოთშორისო კომისიის მონიტორინგისა და ინდექსაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული იქნა კლიმატის ცვლილების 27 ძირითადი ინდექსი, რომელიც ასახავს კლიმატური მოვლენების ექსტრემალურ გადახრებს. სხვადასხვა ქვეყნების მიერ ხდება ამ კლიმატის ცვლილების ინდექსების შესწავლა, რაც ძალზე მნიშვნელოვანია როგორც თვითეული ქვეყნის ასევე ფართო რეგიონებისა და მთლიანად მსოფლიოს მასშტაბით განზოგადოებისათვის და შედარებითი ანალიზისათვის. ამ ინდექსებს განეკუთვნება ცივი, ყინვიანი და ცხელი დღეები, ტროპიკული ღამეები, ნალექიანი და უნალექო დღეები და სხვა. ჩვენს მიერ დაწყებულია ამ ინდექსების შესწავლა საქართველოს ტერიტორიისათვის, დაანგარიშებულია კლიმატის ცვლილების 27 ინდექსი, შედგენილია კლიმატის ცვლილების რამოდენიმე ინდექსის რუკა და შედეგები გამოქვეყნებულია საერთაშორისო იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში თუ ადგილობრივ გამოცემებში.

ტროპიკული ღამე წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კლიმატის ცვლილების ინდექსს. შესწავლილია ტროპიკული ღამეების დინამიკა და სივრცითი განაწილება საქართველოს ტერიტორიისათვის.

ლიტერატურა

1. Elizbarashvili E.Sh., Elizbarashvili M.E., Kutaladze N.B., Keggenhoff I., Kikvadze B.M., Gogiya N.M. (2015) Geography and dynamics of some temperature indices for assessing the climate change in Georgia. Russian Meteorology and Hydrology, Volume 40, No 1, pp. 39-45
2. Elizbarashvili E.Sh., Kutaladze N.B., Keggenhoff I., Elizbarashvili M.E., Kikvadze B.M., Gogiya N.M. (2014) Climate Indices for the Moistening Regimen in the Territory of Georgia amidst Global Warming.- European Researcher, Vol.(66), № 1-1, p p.102-107. DOI: 10.13187/ issn.2219-8229
3. Keggenhoff I., Elizbarashvili M., Amiri-Farahani A., King L. (2014) Trends in daily temperature and precipitation extremes over Georgia, 1971–2010, Weather and Climate Extremes, Volume 4, pp. 75–85
4. Keggenhoff I., Elizbarashvili M., King L. (2015) Recent changes in Georgia's temperature means and extremes: Annual and seasonal trends between 1961 and 2010, Weather and Climate Extremes, Volume 8, pp. 34–45
5. Peterson, T.C. (2005) Climate Change Indices. WMO Bulletin, 54 (2), pp.83-86